http://192.168.1.11/nomfileserver/GetFile?file_id=119643318488...

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010127388629116

№16/89344

08 / აპრილი / 2016 წ.

შპს ნიუ დეველოფმენტ გრუპს,
დავით ლობჟანიძე მის: ნუცუბიძის მე-2 მ/რ მე-2
კვრტ. კორპ.1 ბ.18 პ/ნ 01010015126

ბატონო დავით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N771711/12 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25[1]-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებობის ნებართვა) 27.04.2015წ. N1860316 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკაბშირებელი გზის მიმდებარედ (საკ. კოდი N01.14.15.001.260) თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

ფასადი "9-1": +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები, ასევე სადარბაზოში შესასვლელი კარის სიმაღლე და ნახატი. "4-4" და "7-7" ღერძთან ფანჯარის გაბარიტი შემცირებულია 0.10 მ-ით. "7-4" მონაკვეთში სართუმშუა გამყოფი ხოლები გაუქმებულია და შეღებილია აგურის ფაქტურით. "6-5" და "3-1" მოანკვეთში შეცვლილია მოაჯირების ნახატები.+36.00 ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრების გაბარიტები.

ფასადი "დ-ა": -4.50 ნიშნულზე შეცვლილია ავტოფარეხში შესასვლელი კარის ნახატი, ფორმა და გაბარიტი, "ბ-ა" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ღიობები. +0.00 ნიშნულზე "დ-ბ" მონაკვეთში ტრავერტინის ნაცვლად მოწყობილია ლესვა და ღებვა, შეცვლილია მისი სიმაღლე, "ბ-ა" მონაკვეთში შეცვლილია ფასადების ღებვის ფერი. შეცვლილია ფანჯრების მდებარეობა და გაბარიტი.

ფასადი "1-9": -4.50 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა და გაბარიტები. +0.00 ნიშნულზე ფრამუგებს მონაცვლებული აქვთ ადგილები და შეცვლილია ღიობების გაბარიტები. იგივე ნიშნულზე შეცვლილია ფასადის ღებვის ფერი.+39.40 ნიშნულზე მოწყობილია კარი.

ფასადი "ა-დ": +0.00 ნიშნულზე ტრავერთინით მოპირკეთების ნაცვლად ფასადი შელესილი და შეღებილია. დამატებით მოწყობილია ცოკოლის ნაშვერი.+39.40 ნიშნულზე მოწყობილია მცირე ზომის ღიობი.

-4.50 ნიშნულზე: გაზრდილია პანდუსის გაბარიტი. პანდუსთან მოწყობილია კედლები და კედლების ნაწილზე ლითონის მოაჯირები. "3-3" და "8-8" ღერძებზე დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. მონოლითური კედლები არ არის ნაჩვენები განსხვავებული აღნიშვნით. შეცვლილია კიბის კონფიგურაცია. "5-6" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია რიგელები. "8-8" ღერძზე შეცვლილია კოლონისა და რიგელის ხოლო "8-9" მონაკვეთში კოლონებისა და კედლების ურთიერთმდებარეობა.

+0.00 ნიშნულზე: "დ-დ" ღერძთან "1-3" მონაკვეთში მოწყობილია შლაგბაუმი და ჯებირი. "დ-დ" ღერძის გარეთ "6-8" მონაკვეთში გაუქმებულია კიბე, "3-8" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფილა, მცირე ზომის პანდუსი და წყლის მიმღები ცხაური. "5-6" მონაკვეთში შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა და

"6-6" ღერძთან კიბის გაბარიტი. "3-3" ღერძზე "ბ-გ" მონაკვეთში კედელი მთლიანად მონოლითურია. "8-8" ღერძზე "ბ-გ" მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟი. "8-8" და "9-9" ღერძებს გარეთ გაზრდილია ფილის გაბარიტები, მოაჯირებს მონაცვლებული აქვთ ადგილები. გაზრდილია კომერციული ფართის სიმაღლე. "4-4" და "7-7" ღერძებზე კოლონები ნაწილობრივ მოჩარჩოებულია და გაზრდილია მათი კვეთი.

+36.00 ნიშნულზე: "ა-ა" ღერძის გარეთ "6-7" მონაკვეთში შეცვლილია აივნის ფორმა და გაზრდილია მისი გაბარიტები.

+39.40 ნიშნულზე: "6-6" ღერძზე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი. შემცირებულია კიბის ღიობის და გაზრდილია სამანქანეს გაბარიტები. გაზრდილია შახტების გაბარიტები და რაოდენობა, შახტებზე მოწყობილია თუნუქის ქუდები, ნაწილობრივ შახტები მობრუნებულია და მათ მონაცვლებული აქვთ ადგილი.

+39.40 და +42.00 ნიშნულზე გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე.

აგურის მოპირკეთების ნაცვლად მოწყობილია ლესვა და ღებვა აგურის ფაქტურით. შეცვლილია მოაჯირების ღებვის ფერი და ვიტრაჟების ნახატები.. ფასადებზე არ არის ნაჩვენები წყლის შემკრები მილები. +4.00 ნიშნულზე "დ-დ" ღერძზე "5-4" და "7-6" მონაკვეთში გეგმაზე არ არის დატანილი ფანჯრები. შეცვლილია რელიეფის ნიშნული.

შენობა "9-9" ღერძთან: შეცვლილია შენობისა და ვიტრაჟის გაბარიტები, დამატებით მოწყობილია ვიტრაჟები და კარი. ერთი სართულის ნაცვლად მოწყობილია ორი, მეორე სართულზე მოწყობილია აივანი. "9-8"" ფასადზე მოწყობილია სარეკლამო წარწერა. პანდუსის ნაწილი და "9-9" ღერძის გარეთ კონსოლი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”. პატივისცემით,

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე